ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქ. #3 (ნაკვეთი #1/24), სს „ფი ეს სი ფროფერთი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.19.16.001.024), სასაწყობე შენობების არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	სს „ფი ეს სი ფროფერთი“
პროექტის ავტორი	მ. ნიკოლაიშვილი.
ექსპერტები	თ. სულავა; ვ. ზაგაშვილი.

2017

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად, ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი; პირობითი აღნიშვნები; შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი);
- საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობების გეგმები;
- შენობა-ნაგებობების ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;
- პანდუსის დეტალური ნახაზი;
- შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

შენიშვნა:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.
- საპროექტო შენობის მთლიანი ან ნაწილობრივი ფუნქციის ან/და დაკავებულობის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული არქიტექტურული დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან.
- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქ. #3 (ნაკვეთი #1/24), სს „ფი ეს სი ფროფერთი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.19.16.001.024).

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი უტოლდება 13936.00 კვ.მ.-ს.

საპროექტო მიწის ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსებულია 9 შენობა. პროექტით გათვალისწინებულია ორი ახალი შენობის მშენებლობა, რომლის შედეგადაც ხდება #3 შენობის დემონტაჟი.

საპროექტო #3 შენობის სიმაღლე უტოლდება 8.50 მეტრს, ხოლო #10 შენობის სიმაღლე - 10.26 მეტრს.

საპროექტო შენობების ფუნქცია იქნება არამალფუჭებადი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციის შესანახი საწყობი.

შენობები ადაბტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

სარჩევი:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;

3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება;

4. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება;

5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სიტეტმების შეფასება;

6. გასასვლელი საშუალებების შეფასება;

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება;

8. წყალსადენი სისტემების შეფასება;

9. სახურავის ანაწყობებების შეფასება;

10. შიდა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება;

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (#3 და #10 შენობებში გათვალისწინებული არამალფუჭებადი საკვები პროდუქტების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტების სასაწყობე ფართობები) - შეესაბამება 311.3-ე პუნქტს, სადაც ამ ჯგუფს განეკუთვნება - საყოფაცხოვრებო პროდუქტები;

- ✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (#3 და #10 შენობებში გათვალისწინებული საწყობების დამხმარე სივრცეები) - შეესაბამება 312-ე ქვეთავს.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით, მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2**----------46.5 მთლიანი *(საწყობები);*

- ✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** ----------27.9 მთლიანი *(დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი)*

ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა თითოეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2:**

- #3 შენობისთვის - 886კვ.მ/46.5დ.დ.ფ.=**19 დ.დ.**

- #10 შენობისთვის -880.3კვ.მ/46.5დ.დ.ფ.=**19 დ.დ.**

- ✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს:**

- #3 შენობისთვის - 19.3კვ.მ/27.9.დ.დ.ფ.=**1დ.დ.**

- #3 შენობისთვის -19,1კვ.მ/27.9დ.დ.ფ.=**1დ.დ.**

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი შერჩეულია ფართობისა და სიმაღლის გათვალისწინებით და ობიექტების კონსტრუქციის ტიპად მიღებულია V – B.

- შენობების ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს, იატაკის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს, სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს 601-ე ცხრილის შესაბამისად არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- რაც შეეხება შენობების გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც სრულად შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

საპროექტო შენობა #3		
ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	პროექტით გათვალისწინებული დაკავებულობისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა
1 – 10 ღერძებში	0,38 – 0,86	1 სთ.
10 - 1 ღერძებში	4 - 9 <	0 სთ.
ა - ბ ღერძებში	4,3 – 9 <	0 სთ.
ბ - ა ღერძებში	8,0 - 9 <	0 სთ.

საპროექტო შენობა #10		
ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	პროექტით გათვალისწინებული დაკავებულობისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნა
1 – 2 ღერძებში	9 <	0 სთ.
2 - 1 ღერძებში	0,85 – 1,20	1 სთ.
ა - ბ ღერძებში	9 <	0 სთ.
ბ - ა ღერძებში	0	1 სთ.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *V ტიპის კონსტრუქციაში ნაგებობის ელემენტები 602-ე ქვეთავით ნებადართული ნებისმიერი მასალით იგება.*

- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს (შენობის ელემენტებისთვის, კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად). თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.*

3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებული #3 შენობის სიმაღლე შეადგენს - 8.50, ხოლო #10 შენობის სიმაღლე კი განისაზღვრება -10.26 მეტრით.

- თითოეულ შენობაში სივრცეები და ფართობები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

#3 შენობაში	
სწ-2 ჯგუფისთვის	886 კვ.მ
დს ჯგუფისთვის	19.3 კვ.მ

#10 შენობაში	
სწ-2 ჯგუფისთვის	880,3კვ
დს ჯგუფისთვის	19.1 კვ.მ

ყოველივე ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო #1 და #2 შენობები, მათი კონსტრუქციის ტიპის (V – B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით სრულიად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

4. ცეცხლისა და კვამლისაგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ვინაიდან სველი წერტილებისათვის განკუთვნილი არეალი არ აღემატება სართულის ფართობის 10%-ს, როგორც #3, ასევე #10 შენობებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც დამხმარე დაკავებულობები და თანახმად 508.2.4 პუნქტისა, დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.

- გარე კედლებზე ღიობების ფართობის დასაშვები პროცენტულობა განსაზღვრულია 705.8 ცხრილის შესაბამისად, შემდეგი სქემით:

საპროექტო შენობა #3			
ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	დასაშვები ფართობი (%) - დაუცველი	გათვალისწინებული ფართობი (%)
1 – 10 ღერძებში	0,38 – 0,86	დაუშვებელია	0%
10 - 9 ღერძებში	4,0	15%	13%
9 - 1 ღერძებში	9 <	შეუზღუდავია	არ მოეთხოვება შეზღუდვა
ა - ბ ღერძებში	4,3 – 9 <	15%	13%
ბ - ა ღერძებში	8,0 - 9 <	70%	20%

საპროექტო შენობა #10			
ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	დასაშვები ფართობი (%) - დაუცველი	გათვალისწინებული ფართობი (%)
1 – 2 ღერძებში	9 <	შეუზღუდავია	არ მოეთხოვება შეზღუდვა
2 - 1 ღერძებში	0,85 – 1,20	დაუშვებელია	0%
ა - ბ ღერძებში	9 <	შეუზღუდავია	არ მოეთხოვება შეზღუდვა
ბ - ა ღერძებში	0	დაუშვებელია	0%

- შახტის შემომზღუდავები წარმოდგენილი პროექტის მიხედვით წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რაც შეესაბამება 713.2 პუნქტის მოთხოვნას.

- შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი ორივე შენობაში უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 713.4 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *ცეცხლმედეგი ზღუდეები საძირკვლის ან იატაკ-ჭერის ანაწყობის თავიდან ქვემოთ იატაკის ქვედაპირამდე ან ზემოთ მდებარე სახურავის ფენილამდე, ფიცარფენილამდე ან ფილამდე უნდა გრძელდებოდეს და მათზე კარგად უნდა დამაგრდეს. ასეთი ცეცხლმედეგი ზღუდეები უწყვეტად უნდა გადიოდეს დამალულ სივრცეებში, მაგალითად, შეკიდული ჭერის ზემოთ შექმნილ სივრცეში. ცეცხლმედეგი ზღუდეები 707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.*

- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს. შენობის ელემენტებისთვის, კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად.*

5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

✓ **ავტოსაშხეფი სისტემა:**

- იმის გათვალისწინებით, რომ #3 საპროექტო შენობას ღიობები გააჩნია სართულის სამივე მხარეს, ხოლო #10 შენობას სართულის ორ მხარეს და აღნიშნული ღიობები განთავსებულია ყოველ 15 მეტრში და მათი საერთო ფართობი 1,9 კვ.მ.-ს აღემატება, ღიობების ძირი იატაკის ნიშნულს კი არ ცდება 1,2 მეტრზე მეტად, საპროექტო შენობებს არ ესაჭიროება ავტოსაშხეფი სისტემა, თანახმად 903.2.11.1 პუნქტისა.

✓ **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთა ან დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი დონიდან. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო შენობები არ საჭიროებს სახანძრო მილდგარებით აღჭურვას.

✓ **ხელის ცეცხლმაქრები:**

- სწ2 ჯგუფის დაკავებულობებში განთავსდება ხელის ცეცხლმაქრები, თანახმად 906.1 პუნქტისა.

- ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.*

- *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.*

- *პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.*

- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.*

- *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.*

- *პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა მოეწყოს, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,5 მ-ზე მეტად.*

- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა დააყენონ, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,1 მ-ზე მეტად.*

✓ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- დამკვეთის ინფორმაციაზე და არქიტექტურულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, მასალების და პროდუქტების დასაწყობება არ მოხდება თაროებზე. შესაბამისად საპროექტო შენობა არ საჭიროება სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემების მონტაჟს.

<u>გასათვალისწინებელი საკითხები:</u>

- ***არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.***

- ***უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.***

6. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თითოეული შენობისთვის გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კარის რაოდენობა შეესაბამება 1015-ე და 1021.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, რომელიც იზომება სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან გასასვლელისკენ სავალი ნებისმიერი თარაზული და შვეული, ბუნებრივი და ჩაუხერგავი ბილიკის გასწვრივ გასასვლელში შესასვლელამდე, ორივე შენობაში აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.

- კარის ღიობების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად, შენობებში გათვალისწინებულ დაკავებულობების დატვირთვის მაჩვენებელი გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. ზემოაღნიშნული გამოთვლით მიღებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82მ) ნაკლები სიგანის კარი, თუმცა ყველა გათვალისწინებული კარის მინიმალური სუფთა სიგანე უტოლდება #3 შენობაში 1,71 მეტრს, ხოლო #10 შენობაში 1,46 მეტრს.

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობები ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შშმპ) შენობების 0,00 სართულის სივრცეში მისაწვდომობას. აღსანიშნავია, რომ გრუნტის ზედაპირი და შენობის 0,00 ნიშნული ერთსა და იმავე დონეზეა, ხოლო იმ ნაწილში, სადაც დონეთა სხვაობაა მოწყობილია პანდუსი, რომლის ნორმები შეესაბამება 1010-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- პროექტის გეგმებზე ასახულია მისაწვდომი სვლა გეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას შენობის ყველა ნაწილში.

- ორივე საპროექტო შენობაში ტუალეტები მისაწვდომია შშმ პირთათვის. აღნიშნულ ტუალეტებში გათვალისწინებულია 1.5მ. დიამეტრის მქონე სუფთა არეალი, სადაც არ ხდება არანაირი დეტალის (უნიტაზის, ნიჟარის, კარის და სხვ.) შეჭრა.

8. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- შენობებში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- შენობებში გათვალისწინებულია შემდეგი რაოდენობის წყალსადენი სისტემების მოწყობა:

#3 შენობაში					
აღწერილობა	უნიტაზი	ხელსაბანი	აბაზანა/შხაპები	წყლის დასალევი შადრევნებ.	სამომსახურო ნიჟარა
რაოდენობა	1	1	1	1 *(წყლის დასალევი დისპენსერი)*	1

#10 შენობაში					
აღწერილობა	უნიტაზი	ხელსაბანი	აბაზანები/ შხაპები	წყლის დასალევი სადრევნებ.	სამომსახურო ნიჟარა
რაოდენობა	1	1	1	1 *(წყლის დასალევი დისპენსერი)*	1

ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე პუნქტის მოთხოვნასთან.

9. სახურავის ანაწყობების შეფასება;

- #3 შენობის სახურავის ქანობი უტოლდება 5%-ს, ხოლო #10 შენობის სახურავი ბრტყელია, 2 %-იანი დახრით.
- სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა მიეკუთვნოს C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).
- სახურავის მოწყობა დაგეგმილია ლითონის ფერმაზე. სახურავის ბურულად გამოყენებულ იქნება სენდვიჩპანელები, რომლის ცეცხლმედეგობა უტოლდება 60 წთ-ს (თანამხად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი #C-РУ.ПБ25.В.03510 მასალის სერთიფიკატისა).
- შენობის სახურავზე გათვალისწინებულია პარაპეტის მოწყობა. პარაპეტის სიმაღლე (0.76მ.) აკმაყოფილებს 705.11.1-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *პარაპეტის ზედაპირი უნდა იყოს არაწვადი მასალის, არაწვადი უნდა იყოს ასევე გადამფარავი ჰიდროიზოლაცია და ლავგარდანის (კარნიზის) მასალები.*

10. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება.

- ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივი და მექანიკური განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეთავს.
- ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ყველა სააბაზანო ოთახი ნიავდება მექანიკური განიავებით, თანახმად 1203.4.2.1 -ე პუნქტისა.

- ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქ. #3 (ნაკვეთი #1/24), სს „ფი ეს სი ფროფერთი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.19.16.001.024), ორი სასაწყობე შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები: ვერა ზაგაშვილი

თამთა სულავა

თარიღი: 30.11.17წ.

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 000445

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Vera Zagashvili

born on July 8, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00404

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 000445

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით

ვერა ზაგაშვილს

დაბადებულს 1986 წლის 8 ივლისს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 სარეგისტრაციო # 00404

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

#07/14-539

27 03 2015

ცნობა

თამთა სულავა 2006 წლის 2 სექტემბერს №003 ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 4 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, 2010 წლის 13 აგვისტოს №112 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

რექტორი გიორგი გუგუშვილი

საქართველო, 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 320) 2 936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 934 665
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, Georgia, tel : (+995 32) 2 936 959, tel/fax: (+995 32) 2 934 665, www.art.edu.ge

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 –039

გადაეცემა

ვერა ზაგაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 – 040

გადაეცემა

თამთა სულავას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

თბილისის არქიტექტურა

15.05.17 № 12-13/390

№

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თამთა სულავას (პირადი №01026015533) მასზედ, რომ იგი 2010 წლის 02 აგვისტოდან დღემდე ნამდვილად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ხოლო დღეის მდგომარეობით იკავებს I და II კლასის შენობა – ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლევან გოროზია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

თბილისის არქიტექტურა

15.05.17 № 12-13/389

№

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ვერა ზაგაშვილს (პირადი №01008020599) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან დღემდე ნამდვილად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ხოლო დღეის მდგომარეობით იკავებს I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლ. გოროზია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge